საქართველო
ხარაგაული

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის
ბრძანება N 50 63

07/03/2018

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

აპარატის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 35-ე მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ქვეპუნქტის, საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 122-ე და 123-ე მუხლისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.დამტკიცდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის შინაგანაწესი დანართის შესაბამისად (დანართი თან ერთვის).

2.დაევალოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროს სპეციალისტს საორგანიზაციო საკითხებში ხათუნა გურგენიძეს შინაგანაწესის თვალსაჩინო ადგილზე გამოკვრა და აპარატის თითოეულ საჯარო მოსამსახურისათვის გაცნობა.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2015 წლის 30 იანვრის #20 ბრძანება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ

4. .ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის "საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"–ს 180–ე მუხლით დადგენილი წესით წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ხარაგაულის მაგისტრატ სასამართლოში (მისამართი დაბა ხარაგაული სოლომონ. მეფის ქუჩა #48.

მანანა ბარბაქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე